

რუსუდან საღინაძე
თამარ ნინიძე

ეკუმენიზმის ერთი განსაკუთრებული შემთხვევა
XV-XVII საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში

მეტყველების ევფემიზაცია მაღალგანვითარებული და კულტურული საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი. ევფემიზმი ენის სამკაულია. ის ალამაზებს სათქმელს და პოზიტიურ გავლენას ახდენს თანამოსაუბრეთა ურთიერთობაზე.

ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემთა საფუძველზე დასტურდება, რომ ევფემიზმები (როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული) საქართველოში უძველესი დროიდან გავრცელდა. გრამატიკული ევფემიზმი თავაზიანობას უკავშირდება, რაც შეპირობებულთა პატივისცემის, თანამოსაუბრისა თუ მიმართვის ობიექტისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების გამოხატვის სურვილით. წერითა და ზეპირ მეტყველებაში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ადამიანები ერთმანეთს მიმართავენ თქვენობით. ძველად ამას უმეტესად იერარქიული პრინციპი, წოდებრივი განსხვავებულობა განაპირობებდა (კ. ჯორჯანელი, 1977, გვ. 85). დღესაც შენარჩუნებულია ეს საფუძველი – მაღალი თანამდებობის პირებს მიმართავენ თქვენობით, ანუ "ოფიციალურ რეგისტრში, რომელიც შეესაბამება თავაზიანობის იერარქიულ სისტემას" (რ. ზექალაშვილი, 2012, გვ. 164), თუმცა შეიძლება ასეთ მიმართვას სხვა მიზეზიც ჰქონდეს, კერძოდ: თქვენობით მიმართავენ უცნობ ადამიანს, უმცროსი უფროსს მიმართავენ თქვენობით... როგორც მიუთითებენ, "მეორე პირის ნაცვალსახელის ეტიკეტური ფუნქცია დროითი დინამიკის თვალსაზრისით საგანგებოდ შესწავლილი არ არის" (მ. ტაბიძე, 2013, გვ. 241).

ამ ასპექტით მნიშვნელოვანია XV-XVII საუკუნეთა საქართველოს სოციალური ისტორიის ამსახველი დოკუმენტები. მათი საშუალებით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება XV-XVII საუკუნეების ქართული საზოგადოების ეთიკურ მხარეზე, რაც მუდამდებდა ევფემისტურ გამოთქმებში. "ეს დოკუმენტები არ იყო გამიზნული საყოველთაო განსჯისათვის და ამიტომაც მათში ყოველგვარი შეფარვის გარეშეა გადმოცემული სათქმელი. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს ნათლად წარმოვიდგინოთ იმ პერიოდის საზოგადოებრივი ურთიერთობანი" (ბ. ჯორბენაძე, 1997, გვ. 183).

ისტორიული დოკუმენტების ენაში განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა თავაზიანი, ევფემისტური ფორმები გამოყენებულია უსულო საგნის მიმართ. მაგალითად, ასე მოიხსენიებენ ან მიმართავენ ხატს, სვეტს, საყდარს, ეკლესიას... ქრისტიანული ტრადიციით ამგვარი რამ უჩვეულო არ არის ქართულში. მაგალითად, ევფემისტურია ხატთან, ჭვართან, წმინდა ნაწილებთან... დაკავშირებული გამოთქმები. ტროპარებში დასტურდება ზმნური ევფემიზმები: **მიუბოძა**: ხოლო მან ძითურთ თჳსით **მიუბოძა** ზღუასა ხატი იგი (პარაკლისი ათონის ივერიის ღმრთისმშობლის ხატისა, კარიბჭისად წოდებულისა, ტროპარი I, ვმად 1, <http://www.orthodoxy.ge/lutsvaani>).

მიუბოძე (გალობა 3, განძლიერდასა): რომელმან მრავალ-პატიოსანი ხატი შენი **მიუბოძე** ივირონსა, ეგრეთვე უნუგეშოდ არა დაგტევენ მკუდარი წილხვედრისა შენისანი, ქალწულო, და ვიდრე ჟამადმდე, მის წილ ამბორს-უყოფთ საკრველთა პირთა მისთა, შენმიერთა მფარველობითა განდიდებულთა (<http://www.orthodoxy.ge>).

ხატისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება გამოხატულია თანამედროვე ქართულშიც. მაგალითად, ზმნური **ბრძან** ძირი გამოყენებულია ხატის, ჯვრის, წმინდა ნაწილების... მოხსენიებისას:

სამების საკათედრო ტაძარში “ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ **ხატი მიაბრძანეს** (<http://www.sazogadoeba.ge>); ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ახლად აგებულ მონასტერში მიაბრძანეს (<http://1tv.ge>)... ..დღესასწაულზე... ერთ-ერთი ჯვარი ზუგდიდში **ჩააბრძანეს**... შემდეგ კი ანაკლიაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში **მიაბრძანეს**... წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში ჯვრის **მიბრძანებას** აფხაზეთიდან გადმოსული მრევლიც დაესწრო (<http://geonews.ge>)... წმიდანის ხელის მტევანი ბოღბეში **მიაბრძანეს** (<http://www.youtube.com>)...

XV-XVII საუკუნეთა დოკუმენტებში ხშირად სათქმელის ევფემისტურობა მიღწეულია გრამატიკული საშუალებებით, კერძოდ, ნაცვალსახელური “თქუნენ“ და ზმნური “კადრეთ“, “მოგახსენეთ“, “მივართვით“ ევფემიზმებით. ამასთან, როგორც აღინიშნა, ასე მოიხსენიებენ ან მიმართავენ ხატს, სვეტს, საყდარს, ეკლესიას. ამგვარი შემთხვევის შესახებ აღნიშნულია არ. მარტიროსოვთან: “ნაცვალსახელის თქვენობით ფორმაში ზოგჯერ იგულისხმება აგრეთვე ეკლესია, საყდარი ან ხატი“ (არ. მარტიროსოვი, 1964, გვ. 65).

ჩვენს საანალიზო დოკუმენტებში ევფემისტურობა გამოხატულია **თქუნენ** ნაცვალსახელით:

“უმა საყდარო კათოლიკე ეკლესიაო... მე მინდობილმან და მოქენემან შეწვენათა და ცვა-ფარვათა **თქუნეთამან**, **თქუნენ** ძლით მპყრობელმან მეფობისამან... ჯღვყავ და გულს-მოდგინედ ვიწყე ძიებად, რათამცა მცირედითა... მემსახურა ...ღ-თივ აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღ-თ მყოფელისათუის (ყმისა და მამულის შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ალექსანდრე II-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1579 წ., დოკ. 10, გვ. 9-10);

ესე ასრე დაგიმტკიცდეს **თქუნენ**, სუეტსა ღ-თივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და სამოციქულოსა ეკლესიასა საჭეთმპყრობელი კათალიკოზი იყოს (იქვე).

სიმტკიცისა სიგელი კადრეთ და მოგახსენეთ თქუნენ, ცათა მობაძავსა საყდარსა და მას შინა სუეტსა ღ[უ]თივ-აღმართებულსა კუართსა ს[ა]უფლოსა და მირონსა ღ[მერ]თ-მყოფელსა და **თქუნენსა** საჭეთმპყრობელსა ქართლისა კ[ათალიკო]ზ-პატრიარქსა ნიკულაოზს (ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ლეონ II-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1569 წ., დოკ. 8, გვ. 7).

ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტში ერთ წინადადებაში, **თქუნენ** ნაცვალსახელთან ერთად, არის **შენ**. მაგალითად:

ჩუნენ, **შენ** მიერ მტერთა ზედა და წინააღმდეგომთა ძლიერმან... მეფეთ მეფემან ალექსანდრე შემოგწირე მტირე ესე შემოსაწირავი სოფელი...

შემოგწირეთ **თქუნ** სუეტსა ღ[უ]თივ-აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა... (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13, გვ. 12-13).

აღსანიშნავია, რომ ერთი დოკუმენტის (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13) ფარგლებში **თქუნ** ნაცვალსახელის ეფემისტურობა შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს, რადგან მას მოჰყვება ჩამონათვალი (**თქუნ** სუეტსა ღ[უ]თივ-აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა...). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზემოთ მოცემულ კონტექსტში **თქუნ** მრავლობითი რიცხვის გამომხატველია, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დოკუმენტი მიმართავს ერთი ობიექტის – მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი. თუ სიტყვებს – “სუეტი ღთივ აღმართებული, კუართი საუფლო, მირონი ღმერთ-მყოფელი და კათოლიკე სამოციქულო ეკლესია” – მეტაფორად მივიჩნევთ და არა მიმართვის ცალკე ობიექტებად, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს **თქუნ** ნაცვალსახელი ეფემისტურად. ჩვენი მოსაზრებით, ამგვარი დაშვება არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან სვეტიცხოველი სწორედ ასე მოიხსენიება ლოცვებში: “საყდარო წმიდაო, სუეტო ნათლისაო, კუართო საღრმთო” და ტროპარშიც: “კათოლიკე ეკლესიამ, სუეტი წმიდაჲ და კუართი საუფლო” (<http://www.orthodoxy.ge>).

საანალიზო დოკუმენტშიც (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი...) არსებობს ჩვენი ვარაუდის გამამყარებელი მაგალითი. კერძოდ: **თქუნ** ნაცვალსახელის ეფემისტურად მიჩნევას მხარს უჭერს ტექსტის დასაწყისში ეფემისტური ზმნების – **(გ)კადრეთ** და **მოგახსენეთ** – პოვნეირება, რასაც მოჰყვება კიდევ საანალიზო ნაცვალსახელური ფორმა (**თქუნ**). აშკარაა, რომ ამ ფორმებით მეფეს სურს თავისი მოკრძალება გამოხატოს სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი.

XV-XVII საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში ეფემისტურობა გადმოცემულია ზემოთ აღნიშნული ზმნური ფორმებითაც. მაგალითად, **კადრეთ** და **მოგახსენეთ**:

(გ)კადრეთ და **მოგახსენეთ** თქუნ, ცათა-მოზაძავსა საყდარსა სუეტსა-ცხოველსა, კუართსა საუფლოსა, მირონსა ღ[მერ]თ-მყოფელსა... აზნაურიშვილნი და გლეხნი თქუნთუის სამსახუროდ მოგუიხსენებია... ვითაც თქუნთუის ბეითაღმნად დადებული იყო და სხუას ერისკაცს არას ეხელყოდა, ისრევ თქუნ **[გ]კადრეთ** და **მოგახსენეთ** მოუშლელად (აწყურიდან ღოდეთს ჩამოსული ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1654 წ., დოკ. 38, გვ. 29-30);

კითხვითა და თანადგომითა და ნებადართვითა ქართლისა კუ პატრიაქისა ნიკოლოზისითა **მოგახსენეთ** და **შემოგწირეთ** ზემოდანუდთ თექუსმეტი კუამლი კაცი (ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ლეონ II-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1569 წ., დოკ. 8, გვ. 7);

ასეთი გამოთქმები დასტურდება, აგრეთვე, ალექსანდრე მეფის შეწირულობის წიგნი სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი (1601 წ.):

(გ)კადრეთ და **მოგახსენეთ** გუჯარი ესე თქუნ, სუეტსა ღთივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა და კათოლიკე

სამოციქულო ეკლესიასა... (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13, გვ. 12-13);

მოცემულ შემთხვევებში **(გ)კადრეთ** და **მოგახსენეთ** ზმნათა ევფემისტურობა უდავოა. მათი ერთად გამოყენება უჩვეულო არ არის ქართული წერილობითი ძეგლების ენისთვის, მათ შორის, ჩვენი საანალიზო ტექსტების პერიოდის ენისთვისაც. ამგვარი ფორმები გვხვდება, მაგალითად, ისეთ დოკუმენტში, როგორცაა "თეიმურაზ I-ის წერილი ესპანეთის მეფე ფილიპე IV-ისადმი" (1626 წ.):

ჩუენ ყოველნი ძმანი ვართ და ერთ არს ღმერთი ჩუენი საქმისა ამას ცნობითა და სიტყუისა ამის აღმოკითხვითა **ვკადრეთ** ძმად წოდება და მონაგებთა სესხება... ეს ჩუენი გულითადი მღრღელ-მონაზონი ნიკიფორე გიუახლებია და ჩუენი საქმე და გულის პასუხი ამისის პირით **მოგუიხსენებია** (<http://laprensaiberic.com>).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დოკუმენტებში ზოგჯერ ტაძარი მოხსენიებულია **შენ** ნაცვალსახელითაც: ავტორი (მეფე) შენობით მიმართავს ეკლესიას, "კათოლიკე სამოციქულო საყდარს", მაგრამ იყენებს ევფემისტურ ზმნებს **(გ)კადრეთ**, **მოგახსენეთ**. მაგალითად:

შენ მიერ მტერთა ზედა და წინააღმდეგომთა ძლიერმან... **შენ**, ხატო ყოვლად ძლიერო სამოციქულო ეკლესიავო, შეიწირე მცირე ესე შესაწირავი და ნაცულად გუაგენ წყალობანი **შენნი... ვკადრეთ** და **მოგახსენეთ** ცათა მობაძავსა კათოლიკე სამოციქულო საყდარსა **შენსა** ჰიმიითით... (მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი, 1601 წ., დოკ. 13, გვ. 12-13).

ამდენად, **(გ)კადრეთ** და **მოგახსენეთ** ზმნების არსებობითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკლესიისადმი მიმართვისას ევფემისტური ფორმებია გამოყენებული. მოცემულ კონტექსტებში ევფემისტური ფორმების არსებობას განაპირობებს სარწმუნოებრივი ფაქტორი. ეკლესია, სვეტი გასულიერებულია. ადამიანებს მათდამი დიდი მოკრძალება აქვთ, შეიძლება უფრო მეტი, ვიდრე მეფისადმი, ბატონის ან სხვა მაღალი წოდების პირებისადმი.

როგორც ჩანს, ტაძარს, ეკლესიას მიმართავენ **თქუენ/შენ** ნაცვალსახელებით. ეს არ აბრკოლებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ **თქუენ** ხაცვალსახელი ევფემისტურია. ეს (**თქუენ/შენ** ნაცვალსახელთა) მონაცვლეობა თუნდაც ერთ კონტექსტში (ამის შესახებ ზემოთაც მივუთითეთ) უნდა აიხსნას ევფემისტურ ფორმათა დამკვიდრებაში არსებული მერყეობით.

ანალოგიური ევფემისტური ზმნური ფორმებია მოგვიანო ხანის (1654 წ.) კიდევ ერთ დოკუმენტში: ესე... სიგელი **გკადრეთ** და **მოგახსენეთ** ჩუენ, ბარათაშვილმა პატრონმა ზაალ, თაყამ... **თქუენ**, ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა სვეტს ღთივ აღმართებულსა და **თქუენთა** საჭეთმპყრობელსა ქართლისა კუხს ქრისტეფორეს; – ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჩუენი მემკვიდრე ყმა **თქუენს** საყდარს მოვიდა... ავიღეთ **თქუენგან** ფეშქაში, რითაც ჩუენი გული შეგჯერდებოდა და შამოგწირეთ **თქუენ**, სვეტს ცხოველს ჩუენი მემკვიდრე ყმა... შეიწირე **შენ**, სვეტო მღთივ აღმართებულო... (ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაალ და სხვა ბარათაშვილების მიერ კუხ ქრისტეფორესადმი, 1654 წ., დოკ. 48, გვ. 36). აქ **თქუენ** ნაცვალსახელის ევფემისტურობა აშკარაა, აუცილებელია ბოლოს მას **შენ** ნაცვალსახელი ეხაცვლება. ეს ფორმობრივი

მერყეობა არა მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევებში შეინიშნება, არამედ დოკუმენტთა უმეტესი ნაწილისათვის არის დამახასიათებელი. ვგულისხმობთ ნაცვალსახელურ ფორმებს, ზმნური ფორმები ვეფემისტურობას უფრო მყარად და კანონზომიერად გამოხატავენ, თუმცა აქაც დასტურდება რიცხვში შეუთანხმებლობის რამდენიმე შემთხვევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნა ფუძემონაცვლე არაა.

XV-XVII საუკუნეთა ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ვეფემისტურობას გამოხატავს, აგრეთვე, ზმნური ფორმა **მივართვით**. ეს ზმნაც ეკლესიისადმი მიმართვაში არის გამოყენებული:

...ჩვენ დაუდევით სვეტს ცხოველსა და **მივართვით** ჩვენის აზნაურშვილის მკუიდრი ყმა ორი კომლი კაცი (საკანონოს გადახდის წიგნი, მიცემული ციცი და სხვა ციციშვილების მიერ დომენტი კუზისადმი, 1664 წ., დოკ. 56, გვ. 41).

განხილული შემთხვევების საფუძველზე შესაძლოა გაჩნდეს შეკითხვა: ხომ არ არის ფუძემონაცვლე ზმნებით გადმოცემული კონსტრუქციები დოკუმენტების ენისათვის – ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის – დამახასიათებელი შტამები (მყარი და უცვლელი ფორმები), რაც ყველა საბუთში გამოიყენება, და არა ვეფემიზმები? ეს ასე არ უნდა იყოს, რადგან ჩვენ მიერ დასახელებული ზმნები მხოლოდ იმ დოკუმენტებში დასტურდება, რომლებშიც ადრესატისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებაზე სურთ ხაზგასმა. შდრ., არავეფემისტური: ესე წიგნი **მოგეცით** ჩვენ (დოკ. 59, გვ. 43); ესე ნასყიდობის სიგელი **დაგიწერე** და **მოგეცი** მე... (დოკ. 63, გვ. 45).

XV-XVII საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში დაცული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პერიოდის ქართულ ენაში, გარდა ჩვეულებრივი, დღესაც არსებული ვეფემისტური გამოთქმებისა (ვგულისხმობთ ადამიანის მოხსენიებას, მიმართვას), არსებობდა განსხვავებული შემთხვევებიც, კერძოდ, ვეფემისტურად მოიხსენიებდნენ უსულო საგანსაც – ეკლესიას, ხატს, სვეტს, საყდარს, რაც შეპირობებული იყო სარწმუნოებრივი ფაქტორით. ენობრივი ეტიკეტის გამოხატულების ეს ფორმა საინტერესოა და ამ ასპექტით კვლევის გაგრძელების საფუძველს იძლევა.

დამოწმებული ლიტერატურა

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.
 რ. ზექალაშვილი, 2012 — რ. ზექალაშვილი, ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბ., 2012.
 არ. მარტიროსოვი, 2012 — არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.

მ. ტაბიძე, 2012 - მ. ტაბიძე, სამეტყველო ეტიკეტი და პირის ნაცვალსახელები "ვეფხისტყაოსანში", წელიწადიულის, IV, ქუთაისი, 2012.

ბ. ჯორბენაძე, 1997 - ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.

კ. ჯორჯანელი, 1977 - კ. ჯორჯანელი, ვეფემიზმები და სიტყვის ტაბუ, თბ., 1977.

<http://www.sazogadoeba.ge>

<http://iv.ge>

<http://geonews.ge>

<http://laprensaiberic.com>

RUSUDAN SAGINADZE, TAMAR NINIDZE

A SPECIAL EXAMPLE OF EUPHEMISM FORMATION IN 15TH -17TH CC. HISTORICAL DOCUMENTS

The paper discusses a special case of using euphemistic forms in the 15th-17th century social history documents, namely, when particular forms of politeness and reverence is used in the address of inanimate things. For instance, they refer to or address in the vocative icon, pillar, shrine, church and more. To achieve euphemistic effects the texts of these documents make use of grammatical means like *tkven* (plural “you”) and verb forms *gkadret*, *mogakhsenet* (=we humbly dared, reported), *mivarvit* (delivered), thus, in addition to using the elevated lexical units in the synonymous series authors replace singular with plural and present with past tense: “*eha sakdaro katolike eklesiao... me mindobilman da mokeneman shetsevnita da tsva-pharvata tkventaman, tkuen dzlit mpqrobelman mmepobisaman... khelvqav da gulis-modginet vitsqe dziebad, ratamtsa mtsiredita ... memsakhura ghtviv-aghmartebulisa suetisa tskhovelisa, kuartisa sameuposa da mironisa ghvtit mqopolisatuis*” (from Alexander II’s (king of Kakheti) donation chart, giving people and lands to Svetiskhoveli Church in Mtskheta, 1579 year, document 10, pp. 9-10). The given context refers to only a single object –the Svetistskhoveli church of Mtskheta. The article considers the conjecture that if the words *sveti ghrmtiv agmatebuli, kuarti sauplo, mironi ghrmertmkofeli and katolike eklesia* are metaphors then pronoun *tkven* is a euphemism. Such an assumption is not groundless in as much as in the prayers Svetiskhoveli is usually referred to as “sakdaro tsmindao”, “sveto natiisao”, “kuarto saghmrt, and in Troparions (short canticles): “katolike eklesiai,” “sveti tsmindai” and “kuarti sauploi”.

It is also noteworthy that in some documents the church is referred to as “shen”(thou) expressed with singular pronoun. King, the author of the text, refers to the church (a chief apostolic cathedral) with a singular pronoun, however, he then makes use of euphemistic forms of the verbs in the text, like *gkadret, mogakhsenet*. The fact is that *the church*, the *sveti* (the column) are rendered as animate. People should venerate them more than they do in relation to the king, prince or to any other high rank person.

The analysis of the materials preserved in the 15th-17th century historical documents allowed us to arrive to the conclusion that in addition to the ordinary expressions there were special instances, namely, the euphemistic referring to the inanimate objects, like *a church, icon, pillar, shrine*, conditioned by religious factor.